



MES 6 21 0000751140



29/07/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 15 ივლისს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89159154748?pwd=L3BCMjZuNm1zQWlOUFJCaHdHRzcydz09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

მარიკა ზაქარაიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

ქრისტინე მეფარიშვილი - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:**

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კასპის კოლეჯი:

მერაბ გოხელაშვილი - კოლეჯის დირექტორი,

მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სოფიო გოხელაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი,

ელენე ფიცხელაური, პროგრამის განმახორციელებელი,

თამთა კვინიკაძე, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი.

შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი ლეპოტა:

ლელა ყურაშვილი - ცენტრის ხელმძღვანელი,

ია გიგიბერია - ხარისხის მართვის მენეჯერი.

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების
ექსპერტები:**

დავით გუდაძე,

გენადი კვერეჩხილაძე,

ნანა ჭითანავა.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

1. სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ /01093/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

წარმდგენი: დავით გუდაძე, ლანა გაჩეჩილაძე

2. სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში“ /01101/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: გენადი კვერენჩილაძე, ლანა გაჩეჩილაძე

3. შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი ლეპოტასთვის – „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /01099/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნანა ჭითანავა, მაია აბდალაძე

4. შპს „ქართული ღვინის გილდიისთვის“ – „ვაზის გაშენება და მოვლა“ /01100/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: თეა მახათელაშვილი, მაყვალა დარსანია

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა რაიმე შუამდგომლობა ხომ არ იყო ცენტრის ან დაწესებულების მხრიდან. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა თქვა, რომ ატვირთულ დღის წესრიგში ოთხი საკითხი იყო, მეოთხე საკითხი იყო შპს „ქართული ღვინის გილდიისთვის“ „ვაზის გაშენება და მოვლა“ /01100/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა. გილდიამ რამოდენიმე დღით ადრე შემოიტანა წერილი და ოფიციალურად ითხოვა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა და უკვე არის ბრძანება, რომლითაც შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, ამიტომ ითხოვა ეს დასკვნა არ განეხილათ სხდომაზე. გაგრძელდება ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და იმედოვნებს, რომ მომავალში მათი პროგრამები იქნება უფრო ხარისხიანი, რაც საშუალებას მისცემთ, მათზე უფლების გაცემაზე უფრო თამამად ისაუბრონ. სამი საკითხი იქნება დღის წესრიგში.

საბჭოს თავმჯდომარემ ცნობად მიღო აღნიშნული შუამდგომლობა, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა განახლებული დღის წესრიგი და სხდომა დაიწყო დღის წესრიგის პირველი საკითხით.

1. სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება“/01093/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებისაგან ითხოვა ყურადღება გაემახვილებინათ მხოლოდ მთავარ საკითხებზე.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მან თქვა, რომ ბატონ დავით გუდაძესთან ერთად 25 ივნისს ჰქონდათ დისტანციური ვიზიტი კოლეჯში. მან საბჭოს მოახსენა ინფორმაცია პროგრამის შესახებ, პროგრამა არის მომზადების პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე კოლეჯს განსაზღვრული ჰქონდა მეორე, თუმცა მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განისაზღვრა მესამე დონე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, ითხოვენ ჯამში 30 მსმენელის მიღებას, განხორციელების ადგილია ქ.კასპი, აღმაშენებლის ქ. N168გ. ორგანიზაცია იმყოფება ავტორიზებულ რეჟიმში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ვინაიდან მოკლევადიანი პროგრამების სტანდარტები განსხვავდება გრძელვადიანი პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებიდან, მათ მოუწიათ ხარვეზის დაფიქსირება, კერძოდ:

2.4 ქვესტანდარტი - უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის გარეშე, ექსპერტის და საბჭოს აპარატის წარმომადგენლის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში, ვერ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სახანძრო შემოწმების (25.05.2021) შემდეგ გაიცა დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N375 (27.05.21) კერძოდ, ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, შენობის გარე ტერიტორიაზე მოეწყო სახანძრო ჰიდრანტი ან მოეწყო შესაბამისი მოცულობის წყლის რეზერვუარი სახანძრო მანქანისთვის წყლის ასაღები მილყელით. შესრულების ვადა მითითებულია 29/10/21-მდე.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, დააფიქსირეს მხოლოდ ერთი რეკომენდაცია:

1.4 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს მინიმალური განათლების დონე, საბაზო განათლება.

შემდეგ ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს წარუდგინა ფოტო მასალა, ახლად აშენებული კოლეჯის შენობა, აუდიტორიები, მათ შორის C გარემო, სადაც წარიმართება სამუშაოები, მან აღნიშნა, რომ ყველა აღჭურვილობა ადგილზე იყო, რაც პროგრამით იყო გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პარტნიორი ორგანიზაცია, თუმცა ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა პარტნიორი ორგანიზაციის დათვალიერება და სურათები მოეწოდათ მოგვიანებით, რომელიც ასევე წარუდგინა საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარეს კითხვა ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენელთან, მას აინტერესებდა უსაფრთხო გარემო არის თუ არა მათ კოლეჯში დღეის მდგომარეობით და ხანძარსაწინააღმდეგო კუთხით რას იტყოდა ან დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ გოხელაშვილმა უპასუხა, რომ მათ აქვთ მიწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, სადაც განმარტებულია, რომ შემოწმების შემდგომ აღმოიფხვრა ყველა ხარვეზი გარდა ერთისა, რომელიც იყო გარე ჰიდრანტი და ამისთვის მიეცათ დრო ოქტომბრის ბოლომდე. ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია და ფიქრობს, რამდენიმე დღეში უკვე ექნებათ და ეს პრობლემა მოგვარდება. სასწავლო გარემო აქვთ სრულიად უსაფრთხო, თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა აქვთ დამონტაჟებული და არანაირი პრობლემა არ გააჩნიათ ამ კუთხით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ჰიდრანტის საკითხიც მოგვარებული იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ჰკითხა უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებით, რას ფიქრობდნენ.

მარიკა ზაქარეიშვილის აზრით, დროის მიცემის საჭიროებას ვერ ხედავს. მისი აზრით, უნდა დააყენონ საკითხი კენჭისყრაზე უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, ხოლო დაწესებულებას მიეცეს რეკომენდაცია პროგრამებზე რეგისტრაცია გამოაცხადოს და სწავლა დაიწყოს მას შემდეგ, რაც ჰიდრანტი დაყენდება. ნათია კვიციანიმა დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენად ეხება ეს ჰიდრანტი შენობის უსაფრთხოებას, რაზედაც მერაბ გოხელაშვილმა უპასუხა, რომ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ერთ დეტალზე, რომელიც არის გარე ჰიდრანტი, ეს ნიშნავს, რომ გარეთ უნდა იდგეს, შენობიდან 50 მეტრის მოშორებით, რომელიც წყლის ავსების საშუალებაა.

მარიკა ზაქარეიშვილმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება, მან თქვა, რომ ის ვერ ხედავს საკითხის გადავადების საჭიროებას, მაგრამ სწავლა დაიწყოს კოლეჯმა მას შემდეგ, როცა მოწესრიგებული იქნება ეს საკითხი.

თამაზ ბახტაძემაც დაადასტურა, რომ კენჭი უნდა უყარონ პირდაპირ, რომ როგორც ზედამხედველი ორგანო, როგორც ამ პროცესებში ჩართული, სტრუქტურის სახელით აცხადებს, რომ შენობა არის ახლად აშენებული, უსაფრთხოების სისტემის ყველა საკითხია გათვალისწინებული. თვითონ შენობაში, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმაც აღნიშნა, არანაირი პრობლემა არ არის. რაც შეეხება გარე ჰიდრანტს, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკისა და თეორიის ნაწილში პრობლემა შეიძლება არ შეიქმნას, მაინც უსაფრთხოებაა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა იქნას აღმოფხვრილი, გაიცეს რეკომენდაცია, რომ სწავლა დაიწყოს მას შემდეგ, რაც ეს ჰიდრანტი გაკეთდება.

ნათია კვიციანი დაინტერესდა, კოლეჯის ახალ შენობაში, გარდა ამ პროგრამისა, კიდევ სხვა რა პროგრამები ისწავლება, მაგალითად აქვთ თუ არა „შედულების“, პროგრამა. ისეთი პროგრამა, რომელიც შეიძლება იყოს სახიფათო, ამიტომ ისიც თვლის, რომ უმჯობესია გააკეთონ ეს ჰიდრანტი, რაც აუცილებელია და მერე დაიწყონ სწავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მარიკა ზაქარეიშვილი გვთავაზობს, კენჭი ვუყაროთ უფლების მინიჭებას და რეკომენდაციაში გავწეროთ, რომ სწავლა არ დაიწყოს სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება, მარიამ ქუჩულორიას აზრით გარე ავზის არსებობა კავშირშია შენობის უსაფრთხოებასთან, რადგან ეს ჰიდრანტი საჭიროა, შენობაში ხანძართან დაკავშირებული პრობლემის ჩასახშობად, საბჭოს ასევე შესაძლებლობა აქვს, კოლეჯს ხარვეზის გამოსასწორებლად მისცეს ერთთვიანი ვადა, თუ კოლეჯი ფიქრობს პრობლემის რამდენიმე დღეში გამოსწორებას. კოლეჯს ერთ თვეში შეუძლია წარმოადგინოს გამოსწორების დოკუმენტი. ეს ორი ალტერნატივაა და როგორც საბჭოს წევრების უმრავლესობა ჩათვლის, ისე მიიღებენ გადაწყვეტილებას.

ნანი დალაქიშვილმა უპასუხა ნათია კვიციანის კითხვას, რომ ამ ეტაპზე ამ კოლეჯში არც ერთი პროგრამის სწავლება არ მიმდინარეობს, ეხლა მიიღო ავტორიზაცია კოლეჯმა, ივნისის თვეში გავიდა საბჭოზე მათი საკითხი, ახლად ავტორიზებული კოლეჯია, ახლა დაიწყო პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია და ოქტომბერში დაიწყება სწავლა. ასე რომ, ამ წუთში არც დიდ საკვალიფიკაციო პროგრამებზე და არც მოკლე ვადიანზე სწავლა კოლეჯში არ მიმდინარეობს. მან ასევე დაამატა, რომ რა თქმა უნდა საბჭოს გადასაწყვეტია, თუ საბჭო უფლებამოსილების მინიჭებაზე დააყენებს საკითხს, წარმოადგინონ ინფორმაცია როგორც კი დასრულდება ჰიდრანტის მოწყობა და ამ ინფორმაციას მოაწოდებენ, ეს შეიძლება კიდევ ერთი ალტერნატივა იყოს.

ნათია კვიციანის აზრით, ვადის მიცემას ჯობია მისცეს საბჭომ თანხმობა და წარმოადგინონ ინფორმაცია, როგორც კი დაასრულებენ ამ პროცესს.

ნიკოლოზ მესხიშვილმაც თანხმობა განაცხადა აღნიშნულ წინადადებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ /01093/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

ასევე, წინაპირობაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, რაც რეკომენდაციაში იყო მითითებული.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

სსიპ კასპის კოლეჯს (ს/კ: 205405480) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება /01093

(დანართი1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 15 ივლისი.

2.სსიპ კასპის კოლეჯისთვის „სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში“/01101/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა ლანა გაჩეჩილაძემ. მან თქვა, რომ იმავე დღეს იყო დისტანციური ვიზიტი ამ პროგრამაზეც, ბატონი გენადი იყო დარგის ექსპერტი. პროგრამა არის პროფესიული მომზადების პროგრამა. ამ შემთხვევაშიც მოხდა დონის ცვლილება. დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა მესამე დონე, თუმცა მეთოდოლოგიის მიხედვით, მეოთხე დონე მიაჩნის, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, მოთხოვნილი

მსმენელთა ზღვრული რაოდენობა-20, ორ ჯგუფად, თითოში 10-10 მსმენელი. განხორციელების ადგილია იგივე, ქ. კასპი, აღმაშენებლის ქ. N168გ.

აღნიშნა, რომ ამ პროგრამაში უფრო მეტი ხარვეზია დაფიქსირებული:

1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი: სურსათის უვნებლობის სპეციალისტის საჭიროება შრომის ბაზარზე. დოკუმენტში მოყვანილი არგუმენტები არადამაჯერებელია, რადგან არ ჩატარებულა შესაბამისი კვლევა. არ არსებობს ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. არასაკმარისად არის დასაბუთებული ამ ცოდნით აღჭურვილი ადამიანების დასაქმების პერსპექტივა. ნარატივში მოყვანილი არგუმენტები არის მხოლოდ ვარაუდი. თავისთავად რელევანტურია, რომ საწარმოებს/ბიზნეს ოპერატორებს ჰყავდეთ დამატებითი ადამიანური რესურსი, შიდა მონიტორინგისთვის და ხარისხის გასაუმჯობესებლად, თუმცა საწარმოებს შეუძლიათ გადაამზადონ თავიანთი რომელიმე თანამშრომელი ან არ გადაამზადონ და ერთჯერადად მოიწვიონ ტრენერი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის აღჭურვას შესაბამისი ცოდნით. სახელმწიფოს მიერ არ არის აუცილებელი ვალდებულება, რომ სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის სპეციალისტი, ან ამ მიმართულებით გადამზადებული პირი ჰყავდეს დასაქმებული ბიზნეს ოპერატორს. ამიტომ თავისთავად უფრო დამაჯერებელია, რომ ბიზნეს ოპერატორები არ დახარჯავენ დამატებით ფინანსურ რესურსს ახალი თანამშრომლის დასასაქმებლად.

1.4 ქვესტანდარტი - პროგრამაზე დასაშვები წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთი მსმენელის დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

პროგრამაში გაწერილია დაშვების წინაპირობა 18 წელი. არ არის დაკონკრეტებული საჭიროა თუ არა სრული ზოგადი განათლების ატესტატის ფლობა პროგრამაზე ჩასარიცხად. გარდა ამისა, სტანდარტით გათვალისწინებულია, რომ წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროგრამით გაწერილია საკითხები, როგორცაა სურსათის მიმართულებით მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლა, ასევე სურსათის უვნებლობის პროფილური დახასიათება, საწარმოში ჰიგიენისა და წარმოების პროცესის კონტროლი და ა.შ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მხოლოდ საბაზო განათლებით პირმა შეძლოს ამ მასალის ათვისება, 18 წლის ასაკში კი პირს არ/ვერ ექნება წინარე ცოდნა, უნარები ან.და გამოცდილება.

შემდეგ ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა გაცემულ რეკომენდაციებზე:

1.3 ქვესტანდარტი: მიზანი შესაბამისობაშია სწავლების შედეგებთან, თუმცა სასურველია უფრო ზუსტად იყოს ფორმულირებული ზმნები, კერძოდ, „პროგრამის მიზანია მსმენელმა შეისწავლოს სურსათის უვნებლობის ზოგადი ასპექტების აღწერა“ შეიძლება შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით: „პროგრამის მიზანია მსმენელმა მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლოს სურსათის უვნებლობის ზოგადი ასპექტების აღწერა“ და ა.შ.

1.8 ქვესტანდარტი: სასურველია უფრო ხშირად იქნას გამოყენებული პრაქტიკული სავარჯიშოები სწავლებისას. ეს გააუმჯობესებს მსმენელთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ასევე, სასურველია დაემატოს სწავლების მეთოდებს ქეისების განხილვა - Case Study და კეთებით სწავლის მეთოდი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მეთოდის გამოყენება პრაქტიკის ობიექტზე.

1.9 ქვესტანდარტი რეკომენდირებულია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა პრაქტიკის ობიექტი, რათა მსმენელმა შეძლოს სხვადასხვა სპეციფიკის ობიექტებზე შესაბამისი პრაქტიკის გავლა.

2,3 ქვესტანდარტი - ვინაიდან სასწავლო მასალა წარმოდგენილია ძირითადად ინტერნეტ სივრცეში, სასურველია, ყველა დოკუმენტის თითო ასლი ბეჭდური სახით განთავსდეს ბიბლიოთეკაში.

საბჭოს წარმოდგინა ფოტო იმ აუდიტორიის, სადაც სასწავლო პროცესი განხორციელდება და ასევე წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტის სურათები, სადაც მუშა პროცესის ამსახველი ფოტოებიც გადმოგზავნეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, პირველ რიგში მადლობა გადაუხადა კოლეჯს კარგი მოკლევადიანი პროგრამების წარმოდგენისთვის. რაც შეეხება ხარვეზებს, მან აღნიშნა, რომ არ იცის საბჭოს წევრები როგორ ფიქრობენ, მაგრამ მას განსხვავებული მოსაზრება აქვს და ექსპერტს თხოვს, გაუბათილოს ის მოსაზრება, რაც მას აქვს, კერძოდ საჭიროება ბაზარზე არადამაჯერებელია, არგუმენტები არ არისო. მან ჰკითხა ექსპერტს, როგორი ტიპის არგუმენტები იქნებოდა მისთვის დამაჯერებელი, იმიტომ რომ ჰასპის სტანდარტები პირველი ივლისიდან ყველა ბიზნეს ოპერატორისთვის სავალდებულოა, ნებისმიერ პატარა საცხოვრებელს, პატარა სამზარეულოს, აუცილებლად ჰასპის სტანდარტები დანერგილი უნდა ქონდეს და ეს კანონმა მოითხოვა და დამატებით რა კვლევა უნდა რომ ჩაატაროს კოლეჯმა, რომ დამაჯერებელი იყოს პროგრამის საჭიროება. მისთვის ჩანს ცხადად კანონისმიერი ვალდებულებიდან გამომდინარე, რომ ამის საჭიროება არსებობს, თუ გაწყვეტილია მათი კავშირი ბიზნეს ოპერატორებთან და უჭირთ შესაბამის დამსაქმებლებთან კომუნიკაცია, რომ ეს ადამიანები ამ მოთხოვნად პროფესიაზე დაასაქმონ, მან ზუსტად იცის, რომ მოთხოვნადი პროფესიაა, მაშინ როდესაც დასკვნაში მითითებულია, რომ შეიძლება არსებული თანამშრომლები გადაამზადონო, შეიძლება გადაამზადონ, კიდევ უკეთესი თუ არსებულ თანამშრომლებს მიიღებენ გადასამზადებლად, კიდევ უფრო ეფექტური იქნება მათი ეს პროგრამა და შესაბამისად საჭიროება კიდევ უფრო იზრდება. მეორე, როდესაც დაშვების წინაპირობებზე ვახარვეზებთ, სავარაუდოა, საბაზო განათლების ადამიანმა შეძლოს ამ მასალის ათვისებაო. პირველი პროგრამა განვიხილეთ საშიში, რთული ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება და ამ პროგრამაში, რა არის ისეთი სირთულე, რასაც ვერ დამლევს, ვერ წაიკითხავს და რა წინარე პირობებს მოითხოვთ, ეს აინტერესებს, რადგან მთავარი საკვანძო ამ მიმართულებით არის კანონი სურსათის უვნებლობის შესახებ, რაც წაკითხვადია. მეორე, სურსათის უვნებლობის სააგენტოს სახელმძღვანელო აქვს საიტზე, ყველაფერი განთავსებულია და ძირითადად რაც აქ ისწავლება, ეს არის რომელი ჭურჭელი გამოიყენონ, მაცივარში როგორ შეინახონ, ასეთი მსგავსი რადაცეები და რა წინარე ცოდნა ჭირდება ამ ყველაფერს. უსაფრთხო სასწავლო გარემოს სტანდარტის ხარვეზს აღარ განიხილავენ და მას სურს უშუალოდ ზემოხსენებულ კითხვებზე უპასუხოს ექსპერტმა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისიც მიესალმება ამ პროგრამების შემუშავებას და დანერგვას. მას არცთუ ისე მცირე ხნის გამოცდილება გააჩნია სურსათის უვნებლობაში, როგორც პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით, ასევე თეორიული საქმიანობის თვალსაზრისით და პედაგოგიური საქმიანობის თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში უპასუხა დაშვების წინაპირობის შეკითხვას. მან თქვა, რომ დაშვების წინაპირობად მითითებულია 18 წელი და საბაზო განათლება. მისი აზრით, ის რაც სურსათის უვნებლობას, ამ საქმიანობას და უნარებს ეხება და რა შედეგებზეც უნდა გავიდნენ, 18 წლის და საბაზო განათლების მქონე ადამიანს ნაკლებად შეეძლება მისი ინტერპრეტაცია, მისი დანერგვა და განხორციელება, რადგან არცთუ ისე მცირე ცოდნას მოითხოვს კონკრეტულად, თუნდაც დადგენილებების კითხვა, მისგან შინაარსის გამოტანა.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა, 18 წლის ადამიანი დადგენილებებს როგორ ვერ წაიკითხავს, რაზედაც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ წაკითხვით წაიკითხავს, მაგრამ მთავარია მისი ინტერპრეტაცია როგორ მოხდება, მისი დანერგვა როგორ მოხდება საწარმოში და ა.შ. ჰასპთან მიმართებაშიც, რომელიც აუცილებელი წინაპირობა გახდა პირველი ივლისიდან და ჰასპი როცა ინერგება წარმოებაში, ჰყავს მისი მენეჯერი, მისი გუნდი. ასე რომ, ამ პროგრამის კურსდამთავრებული ვერ გახდება ჰასპის მმართველი, უბრალოდ, შეიძლება მას წარმოადგინა ჰქონდეს ზოგადად, რას წარმოადგენს ჰასპი და ეს სისტემა საერთოდ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი ჰასპს არ ნერგავენ, რა თქმა უნდა ჰასპს ვერ დანერგავთ უპასუხა ექსპერტმა. მათ წარმოდგენა ექნება ჰასპზე და სხვა სისტემებზე მხოლოდ.

მარტივი პროგრამაა ამჯერად წარმოდგენილი სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით, თქვა საბჭოს თავმჯდომარემ, სურსათის უვნებლობა სამზარეულოში ვინც მუშაობს, ყველამ უნდა იცოდეს. შემდეგ დარგის ექსპერტს ჰკითხა, რა უნარები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ სურსათის უვნებლობა ისწავლოს, რა წინაპირობა გჭირდებათ, რომ ჩაიწეროს, რაზედაც დარგის ექსპერტის პასუხი იყო, რომ 18 წელი არ არის საკმარისი, თუნდაც საწარმოში მუშაობის გამოცდილება რომ ჰქონდეს, სასურველი იქნება.

ისე ვერ ისწავლის სურსათის უვნებლობას? ჩაეკითხა მარიამ ქუჩულორია, როგორ ვერ ისწავლის, მაგრამ ის რაც სამი თვის სწავლების შემდეგ სახელმწიფოსთან ურთიერთობა მოაგვაროს, წარმოების და სახელმწიფო კონტროლს შორის ეს ურთიერთობა მოაგვაროს, ცოტა არარეალურია. ის უნდა იყოს ამ პროცესების მედიატორი, ამ პროცესების მოგვარება უნდა შეეძლოს, უპასუხა ექსპერტმა.

ხარვეზად არის დაფიქსირებული წინაპირობაში, თქვა საბჭოს თავმჯდომარემ. მას აინტერესებდა რატომ არის ხარვეზი და რა იქნებოდა კარგი წინაპირობა, რაზედაც ექსპერტის პასუხი იყო, რომ სასურველი იქნებოდა გარკვეული წინარე გამოცდილება ან გარკვეული ცოდნა ჰქონდეს მიღებული.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს თხოვა ესაუბრა და შემდეგ მოუსმენდნენ საბჭოს წევრებს.

სოფიო გოხელაშვილმა თქვა, რომ მას დარგის ექსპერტივით დიდი გამოცდილება არ აქვს, თუმცა მერვე წელია სურსათის სააგენტოში მუშაობს და უშუალოდ შეხება აქვს ბიზნეს ოპერატორებთან, შიდა ქართლის რეგიონში მუშაობს, რომელიც ოთხ რაიონს მოიცავს და მრავალფეროვანი პროფილებია მათ რეგიონში დაწყებული ცხოველთა სასაკლაოდან, ფრინველთა სასაკლაოდან, რომელიც აგრეთვე პრაქტიკის ობიექტია ამ პროგრამის შემთხვევაში და სხვადასხვა კვების ობიექტი, სკოლების და საბავშვო ბაღების სამზარეულოს ჩათვლით, აქვს გამოცდილება აქ მუშაობის. სწორად აღნიშნა ქალბატონმა მარიამმა, ჰასპის სისტემა შევიდა ძალაში, საზოგადოებრივი კვების ობიექტები ნელ-ნელა ემატება და 2023 წლიდან კიდევ დაემატება თონეები და ა.შ. მოკლედ, ასოცირების ხელშეკრულება იძლევა იმის საფუძველს, რომ კანონმდებლობა იყოს უფრო მორგებული ევროპულ სტანდარტებთან და უფრო მეტად რთულად ხდება ამის განხორციელება ბიზნეს ოპერატორებისთვის. სწორედ ეს პროგრამა იქნება იმისთვის, რომ ბიზნეს ოპერატორისთვის მოსახერხებელი და გამარტივებული იყოს ყველა ის წესი და კანონი, რასაც სახელმწიფო მას ავალდებულებს, ჰასპის სისტემაზე ითქვა წინა განხილვაზეც და ახლაც აღნიშნავს, რომ ჰასპის სისტემის დანერგვას რა თქმა უნდა მათი მსმენელი ვერ განახორციელებს, მას ექნება ჰასპის აღწერის ცოდნა და გამოცდილება. აღნიშნა, რომ გამახვილებული იყო ყურადღება იმაზე, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო უწევს ფასიან საკონსულტაციო მომსახურებას დაინტერესებულ ბიზნეს ოპერატორებს. ეს კონსულტაცია რამდენიმე საათიანი მომსახურებას გულისხმობს და კონკრეტულად არის მხოლოდ იმ პროფილზე, რა პროფილითაც მიმართავს ბიზნეს ოპერატორი სააგენტოს. კოლეჯი კი მსმენელს აძლევს იმის საშუალებას, რომ ყველა პროფილი, რა პროფილითაც მუშაობს ბიზნეს ოპერატორები, იქნება ეს ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, ცხოველური წარმოშობის სურსათი, არაცხოველური წარმოშობის სურსათი თუ სხვადასხვა, მთლიანი პროფილი, ამის აღწერას უზრუნველყოფს და ბევრად მეტი ცოდნა ექნება პირს და ბიზნეს ოპერატორს ბევრად

გაუმარტივდება მსგავსი პოზიციის მქონე ადამიანებით უვნებელი სურსათის წარმოება უკვე თვითონ შიგნით, საწარმოში და იმ სტანდარტების უზრუნველყოფა, რასაც კანონი ავალდებულებს.

გიორგი გამყრელიძის აზრით, პროგრამა არის ძალიან სერიოზული და შეუძლია თქვას, რომ გადამზადების სახით ასეთი კადრების მომზადება არის შეუძლებელი. გადამზადება შეიძლება, ოღონდ დაშვების პირობა უნდა იყოს მაშინ სხვა. რაც შეეხება უშუალოდ საკითხებს, რაზედაც ლანამ ისაუბრა, ეს ისეთი პროგრამაა, სადაც 4 და 7 წელი სწავლობენ. ეს მოიცავს როგორც სასაქონლო ჯგუფების შესწავლას, სასაქონლო ჯგუფების შესწავლას ქიმიური კომპონენტების გათვალისწინებით. როცა წაკითხვაზე იყო საუბარი, წაკითხვით როგორ წაიკითხავ თუ არ იცი იმ დონის ქიმია, რა დონის ქიმიასაც საჭიროებს იგივე კვების პროდუქტების ექსპერტი. მეორე, როდესაც ამ საკითხზე საუბრობენ, საჭიროა გქონდეს ქიმიური მიმართულებით ცოდნა და ამავდროულად კარგად ფლობდე ორგანოლექტიკას, ანუ მეორე საკითხი არის პროდუქციის გარეგანი შემოწმება. ორგანოლექტიკა, რომელსაც სჭირდება შესაბამისი ხელსაწყოები, ორგანოლექტიკური ლაბორატორია, რომლის გარეშე მისი სწავლა შეუძლებელი იქნება. შესაბამისად, თუკი ასეთი პროგრამის დანერგვა უნდათ, სერიოზული სპეციალისტების მოწვევა დასჭირდებათ. მეორე, აბსოლუტურად სხვა ინფრასტრუქტურას საჭიროებს და ეს ინფრასტრუქტურა ექნებათ უზრუნველსაყოფი. შესაძლებელია მოთხოვნა ძალიან ბევრი იყოს, მაგრამ მოთხოვნებიდან გამომდინარე მთავარი არის ხარისხი, თუ რა ხარისხის უზრუნველყოფა მოხდება ბაზარზე უშუალოდ კადრების ჯერ მომზადების და მერე მიწოდების თვალსაზრისით. რაც შეეხება იმ ნორმატიულ დოკუმენტაციას, რაზეც საუბრობენ, კითხვა და გაგება, ეს იმდენად სერიოზული დოკუმენტაციაა, მას არ ჰგონია, რომ ძალიან მაგარი განათლება თუ არ აქვს მიღებული ამ მიმართულებით და მერე კიდევ გადამზადებული, შესაძლებელია ქიმია მაგრად იცოდეს, მაგრამ ამ მიმართულებით არ იყოს მომზადებული. ანუ, ქიმიური პროცესები კარგად უნდა იცოდეს, უნდა იცოდეს კითხვა, შესაბამისად უნდა იცოდეს ორგანოლექტიკა, ანუ მძიმე სახის პროგრამასთან არის საქმე, ძალიან სერიოზული პროგრამაა, ეს არის მისი დამოკიდებულება.

მერაბ გოხელაშვილმა მადლობა გადაუხადა გიორგი გამყრელიძეს არაჩვეულებრივი კომენტარისთვის, თუმცა არ არის დარწმუნებული, რამდენად ეხებოდა ამ პროგრამას. მან თქვა, რომ პროგრამის ნაწილში როგორც ექსპერტს, ასევე ხარისხის ცენტრს არ ჰქონია, პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით დაფიქსირებული ამგვარი ხარვეზები. ისინი საუბრობენ უფრო მარტივზე. ბიზნესმა მოითხოვა ადამიანი, რომელიც უწარმოებს მაგალითად ჟურნალს, რადგან ჟურნალებს რომ აწარმოებს სასაკლაოში მეხორცე ეს სწორი არაა. როდესაც სურსათის უვნებლობა მიდის და აძლევს რეკომენდაციებს, ბიზნეს ოპერატორს არ ჰყავს ადეკვატური კადრი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს სურსათის უვნებლობის მოთხოვნები, ამ კადრის გაჩენაზე საუბრობენ, ძალიან ელემენტარულზე, 18 წელიც კი არ სჭირდება, უბრალოდ მათ ჩაწერეს, რომ მაინც ყოფილიყო 18 წელი. ფიქრობს, 18 წელიც კი არ სჭირდება იმ პროფესიას, რომელზეც საუბრობენ. თუ ამ პროფესიის არასწორ გაგებაზე არის საუბარი, მაშინ ამაზე დაკავშირებით იმსჯელებენ, მაგრამ ამ პროგრამაში არის ის, რასაც ბიზნესი ითხოვს და ნახევარფაბრიკატები, სასაკლაოები და ა.შ. მათი პროგრამა სრულიად ადეკვატურად პასუხობს ამას, ეს ერთი და ყველაზე მთავარი, დანიშნულება პროფესიული განათლების რაც არის, პირდაპირ მოდის ბიზნესი და ეუბნება, რომ სჭირდება ეს კადრი, შემდგომ ის ადეკვატურ განმარტებლებთან ერთად წერს ამ პროგრამას, მოაქვს და ბიზნესს უქმნის კადრს, რომელსაც ის დაასაქმებს. ეს არის ახალი პროფესია, სამსახური, რომელიც არ იქნება ჰასპის დამნერგავი, ეს იქნება ძალიან მარტივი პროფესია, რომელიც ევროპული სტანდარტის გარკვეულ საკითხების დარეგულირებაში მიეხმარება ბიზნეს ოპერატორს.

ნათია კვიციანს აინტერესებდა და ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენად საჭიროა მომზადდეს დამატებითი კადრი და დამატებითი კადრი აიყვანოს დამსაქმებელმა და კიდევ ხელფასი უხადოს. ხომ არის შესაძლებელი თავისივე კადრი გადაამზადოს თუ ასეთ მარტივ საკითხზე საუბარი და თან ასეთი მოთხოვნაა.

დარგის ექსპერტმა თქვა, რომ ზუსტად ამაზე აქვს აქცენტი გაკეთებული, დაშვების წინაპირობა დასაზუსტებელია, იმიტომ რომ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს სახელმწიფოს ზედამხედველობასთან ურთიერთობა. თუკი ბიზნესს ეყოლება თავისი კადრი, რომელსაც გადაამზადებს, მაშინ უპირობოდ, თანახმა იქნება, ეხლაც თანახმაა თუკი იქნება შესაბამისი წინარე გამოცდილების ან ცოდნის მქონე. შენიშნა, რომ ბატონი მერაბი ამბობს, რომ ბიზნესი ითხოვს ამ სახის კადრს, მან ვერ ნახა საჭიროების დასაბუთება, რომ ბიზნესი ითხოვს ამას.

მარიკა ზაქარეიშვილმა თქვა, რომ ყველაფერი გამოდის იქედან, რა სწავლის შედეგია. ერთადერთი, რაშიც ის ექსპერტს ეთანხმება არის ის, რომ ბაზარზე არსებული კადრის საჭიროება მეტად უნდა დასაბუთდეს და გამოიკვეთოს თუ რა ტიპის სპეციალისტი მზადდება. ცხადია, კოლეჯი არ შემოიტანდა ამ პროგრამას ბიზნესის დაინტერესება რომ არ ყოფილიყო, მაგრამ თავად ნარატივში ცოტა მეტი ციფრები უნდა იყოს ასახული. კერძოდ, არამდენ დამსაქმებელთან მოხდა აღნიშნული საკითხის განხილვა, რაიონულ ჭრილში დასაქმების რა შესაძლებლობაა, რა პრობლემას აგვარებს ასეთი სპეციალისტის არსებობა ბაზარზე და ა.შ. მან წაიკითხა სწავლის შედეგები და თქვა, რომ მას ეჩვენება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შედარებით მარტივი ოპერაციების შემსრულებელი ადამიანის მომზადებაზე მიანიშნებს, თუმცა დარგის ექსპერტის მოსაზრებაა, რომ აღნიშნული სპეციალისტი უფრო მაღალ კვალიფიციური კადრია. მნიშვნელოვანია კოლეჯისა და ექსპერტის მოსაზრება იყოს მეტად შესაბამისობაში და მოხდეს იმის ახსნა, თუ რატომაა ეს საკითხი ასე ბუნდოვანი

გიორგი გამყრელიძემ თქვა, რომ მარტივი ნამდვილად არ არის და პროფესიული მიმართულებით ცოდნა და იმ ნორმატიული დოკუმენტების კითხვა არ არის ადვილი, განსაკუთრებით სურსათის სფეროში. პროგრამა შინაარსობრივად არის ძალიან რთული, როდესაც ვსაუბრობთ პროდუქტზე, რა პროცესები მიმდინარეობს პროდუქტში, ეს უნდა იცოდეს პირმა.

რომელ შედეგზე ვერ გავალთ რომ თქვათ კონკრეტულად, ჰკითხა მერაბ გოხელაშვილმა, რაზედაც გიორგი გამყრელიძემ უპასუხა, რომ ვერცერთ სწავლის შედეგზე ვერ გავლენ.

სოფიო გოხელაშვილმა თქვა, როგორც აღნიშნა, მას გამოცდილება აქვს საკმაოდ დიდი, მასაც და მეორე განმახორციელებელ პირსაც, ორივეს აქვს უშუალოდ შეხება მწარმოებლებთან და სხვადასხვა პროფილის ბიზნეს ოპერატორებთან და იმ პერსონალთან, რომლებიც იქ მუშაობენ. საკითხი დგას ძალიან მარტივად, საკითხი განხილული იყო დისტანციური შეხვედრის დროს და მას ძალიან უკვირს, რადგან ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა შეკითხვას, რაც მას ჰქონდა, პასუხი გაეცაო და მაინც რაღაც გაურკვევლობები აღმოჩნდა დასკვნაში. რაც შეეხება 173-ე დადგენილებას, არის ასეთი, ვისაც სურსათის უვნებლობაში რაიმე შემხებლობა აქვს, მათთვის არის ძალიან ნაცნობი. მათი ეს პროგრამა არ ითხოვს, როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რაიმე ქიმიურს. კვების ტექნოლოგია სხვა არის. თვითონ არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი და ასევე მაგისტრატურა აქვს დამთავრებული გარემოს მედიცინის მიმართულებით და დოქტორანტურაში სწავლობს საჯარო მმართველობაზე მდგრადი განვითარების მიმართულებით. ასე რომ, ის ცოდნა, რასაც საუბრობთ, მას აქვს და არც მას აქვს სათანადოდ. თუნდაც ის, რომ ის არ არის კვების ტექნოლოგი.

ტექნოლოგია არაფერ შუაშია, ტექნოლოგია სულ სხვა რამეა, თქვა გიორგი გამყრელიძემ.

დიახ, ქიმიური პროცესი, თქვა სოფიომ, ისინი ამბობენ სურსათის უვნებლობას, სურსათის ხარისხი და ა.შ. ერთი და იგივე არ არის და განსხვავდება.

რომ დააკონკრეტოთ, ჩაერთო საბჭოს თავმჯდომარე, სათაური ამ პროგრამას ჰქვია - „სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში“, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული გვაქვს კონკრეტული სტანდარტები, ასე წარმოუდგენია მას, და ამ ადამიანმა უნდა გააკეთოს სტანდარტთან შესაბამისობა და მარტივი ოპერაციები შეასრულოს ბიზნესის მოთხოვნის შესაბამისად, რაღაც კონკრეტულ უნარებში მოამზადოს მსმენელი.

სოფიო გოხელაშვილმა თქვა, რომ ის მუშაობს სურსათის უვნებლობის სააგენტოში და არის უფროსი ინსპექტორი. ის უშუალოდ შედის წარმოებებში და ამოწმებს. არის აგრეთვე მაკონტროლებელი მწარმოებელთან. შედის კანონმდებლობის შესაბამისად, ითხოვს გარკვეულ მოთხოვნებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ბიზნეს ოპერატორმა იქნება ეს ჭერი, კედელი, იატაკის მოთხოვნა, დანადგარებთან, აღჭურვილობასთან, მაგ. ხის ინვენტარი ამოღებულია წარმოებიდან, რადგან არ დეზინფიცირდება. ხის კოვზს თუ დავამუშავებთ სადეზინფექციო ხსნარში, ეს ხე გაიჟღინთება ამ სადეზინფექციო ხსნარით და შემდეგ, დასველების შემთხვევაში ეს ქიმიური საშუალება ისევ გადმოვა სურსათში, სადაც ამ ხის კოვზს თუ ჯამს გამოვიყენებთ. ასევე, რა არის ფიზიკური საფრთხე. თუ არის კედლიდან რაღაცის ჩამოშლის საშიშროება და სურსათში ჩავარდნისა, ეს არის ფიზიკური საფრთხე, იგივე ფქვილოვანი წარმოების სურსათში, ტომარას რომ თავისი ძაფი მოძვრება და აღმოჩნდება ხოლმე პურში, ფუნთუშაში და ა.შ. ესეც არის ფიზიკური საფრთხე და ამისი გამიჯვნა ექნება ბიზნეს ოპერატორის ამ კონკრეტულ მათ გადამზადებულ სპეციალისტს. ბიზნეს ოპერატორები არ არიან ყველა, 90 %-ს ეს ბიზნესი აქვს მხოლოდ ბიზნესისთვის და სურსათის უვნებლობასთან არიან ძალიან მოშორებულად. ჰიგიენის წესები, რასაც ითხოვენ, ესენი მათ ფაქტობრივად არ იციან. არაერთხელ ხდება მისვლა, რაღაც მითითებების მიცემა, ეს მითითება გამოსწორდება იმ კონკრეტულ გონივრულ ვადაში რასაც უთითებენ, შეიძლება მოუწიოთ შესვლა არაგეგმიურ ინსპექტირებაზე ერთი და ორი თვის შემდეგ და იგივე, ორი თვის წინ აღმოჩენილი დარღვევა შეიძლება ისევ დახვდეს, იმიტომ, რომ ბიზნეს ოპერატორს ეს კონკრეტულად გააზრებული არ აქვს, რატომ აკეთებს ამას, რისთვის აკეთებს ამას. ეს პიროვნება, რომელიც ეყოლება მას, მათი კურსდამთავრებული მსმენელი მოუწესრიგებს მას ყველა იმ საკითხს, წარმოების პროცესში, რაც მისთვის არის სავალდებულო თუნდაც იგივე, რომ კანონთან შესაბამისობაში მოვიდეს, სასაკლავოს შემთხვევაში იქნება, სადეზინფექციო ხსნარები იქნება, ძალიან ბევრი შემთხვევაა სადეზინფექციო ხსნარები, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ამ პანდემიის ფონზე, აქვთ ხოლმე ვადაგასული და ამის კონტროლს ვერაფერს ვერ ახერხებს წარმოებაში. ფრინველთა სასაკლავო, სადაც მათ პრაქტიკის ობიექტი აქვთ, მათაც ჰქონდათ ეს მოთხოვნა, რომ ვინმე ადამიანი სჭირდება, ითხოვენ კანონის აღსრულებას, მაგრამ ეს აღმასრულებელი პიროვნება მათ არ ჰყავთ და სთხოვენ იქ ყასაბს, ან ვიღაცას ვინც მუშაობს, მაგალითად ქათმის გაპუტვაზე, ან მაცივარში და ეს არის აღრევა და გადანაწილებული არის რეალურად ეს ფუნქცია-მოვალეობები. კონკრეტულად ეს პიროვნება იქნება, რომელიც განახორციელებს ყველაფერს, თუნდაც ჟურნალებს მწერებისთვის და მღრნელებისთვის სამუშაოები ჩატარდა თუ არ ჩატარდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს ფასიან კონსულტაციაზე კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ასე რომ გადაამზადოს პიროვნება, ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და მეორეც, კადრები იქნება კონკრეტული, ერთი პროფილის, დავუშვათ ფრინველთა სასაკლავო, მიიყვანა, გადაამზადა კადრი, კონკრეტული თანამშრომლები, ის ფრინველთა სასაკლავოდან თუ გადავიდა საკონდიტრო საწარმოში, მას ეს უკვე აღარ ეცოდინება. თან ცნობილია ალბათ ბატონი გენადისთვისაც, კონსულტაციაზე და ჰიგიენური სწავლების სერთიფიკატებს რომ ვთხოვთ, 99% 5 გასაღების პრინციპი არის მხოლოდ და ეს 5 გასაღების პრინციპი ზღვაში წვეთია მხოლოდ და თუ იგივე უნდა გადაამზადო ყასაბი და ის თანამშრომელი, რომელიც ფრინველის ხორცის შემთხვევაში, მხოლოდ დაჭრაზე მუშაობს, იმას ბიზნეს ოპერატორი არ ითხოვს, იმ ბიზნეს ოპერატორს ხომ არ ჰყავს 18 წლის ასაკის ან ბაკალავრი და ა.შ. საწარმოში მიღებული და ის ამ პიროვნებას ავალდებულებს რომ ჟურნალები და რაღაცეები აწარმოოს, რაც მერე ხდება

უკვე დარღვევები და ისინი, მაკონტროლებლები შედიან, არაერთ დარღვევას პოულობენ. ის ფიქრობს, რომ იდეალური პროგრამაა იმისთვის, რომ ბიზნესსაც დაეხმაროს და სახელმწიფოსაც. იგივე დადგენილებებზე რომ თქვას, ყველა დადგენილებას აქვს თავისი ტერმინებების განმარტებები, რომლითაც იწყება. თუ ადამიანი 18 წლის არის და კითხვა იცის და გააზრების უნარი აქვს, შეუძლია გაიგოს.

მერაბ გოხელაშვილმა დაამატა, რომ სანამ პროგრამაზე მუშაობას დაიწყებდნენ, დაიცვეს ყველანაირი წესი და პირველ რიგში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიწერეს, ხომ არ აქვთ მსგავსი სასერთიფიკატო ან სერთიფიცირების რაიმე მექანიზმი, პასუხად მოუვიდათ, რომ სურსათის უვნებლობის მიმართულებით სპეციალისტები სასერთიფიკატო ან სერთიფიცირების მექანიზმი მათთან არ არსებობს. ფაქტობრივად, ის რომ, ერთის მხრივ ბიზნესმა მოითხოვა და მეორეს მხრივ, სახელმწიფოს არ აქვს ეს სასერთიფიკატო მექანიზმი. არის ერთჯერადი კონსულტაცია, რომელსაც სურსათის უვნებლობის სპეციალისტები გასწევენ, ეს არის ფასიანი მომსახურება სახელმწიფოს მხრიდან. მსგავსი ტიპის პროფესია არ არსებობს დღეს ქვეყანაში და მარტივად შეუძლიათ შექმნან. არ იქნება ეს მაღალანაზღაურებადი, იქნება საშუალო ან დაბალანაზღაურებადი პროფესია, რომელიც ფიქრობს, დასაქმების პრობლემასაც შეუწყობს ხელს.

თამარ კვინიკაძემ, დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ პროგრამა განსაზღვრული იყო მესამე დონით და ამიტომ სრული ზოგადი განათლება არ ჩაუდიათ დაშვების წინაპირობაში. მხოლოდ ვიზიტის შემდგომ შეიცვალა პროგრამის დონე და განისაზღვრა, როგორც მეოთხე დონე. მათ შედეგებზე დაყრდნობით განსაზღვრეს, რომ არ იყო საჭიროება მოეთხოვათ რაიმე წინარე ცოდნა. რადგან პროგრამის დონე შეიცვალა და უფრო მაღალ დონეზე ავიდა, შეიძლება ტექნიკური ცვლილებების შეტანა. ამაზე შეიძლება იფიქროს და იმსჯელოს დაწესებულებამ. მან თქვა, რომ პროგრამა შეიქმნა ერთ შეხვედრაზე, როცა კოლეჯი საერთოდ არ არსებობდა და ავტორიზაციაც არ ჰქონდა გავლილი. წინა წლის ზაფხულში, შეხვდნენ ქართლში არსებულ ბიზნეს ოპერატორებს, მაშინ განიხილავდნენ სასოფლო-სამეურნეო პროგრამებს და იქ, შეხვედრაზე წარმოიშვა ამ პროგრამის საჭიროება, თვითონ ბიზნეს ოპერატორებიდან და ერთ-ერთი საწარმოსგან, რომელიც მათი დამსაქმებელი იქნება, მათთან ერთად უნდათ განახორციელონ ეს პროგრამა.

მარიკა ზაქარეიშვილმა უპასუხა რომ ეს ყველაფერი კარგად არ ჩანდა აღწერაში და დასაბუთებაში, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენლის პასუხი იყო, რომ მათ დასაბუთების დოკუმენტი გააკეთეს, შეიძლებოდა ალბათ უკეთესის გაკეთებაც, თვითონ სტანდარტის განმარტებითაც, ისინი კვალიფიციურ კვლევას ვერც გააკეთებდნენ და არც მოეთხოვებათ. პროგრამის შემუშავების საფუძველი არის მათსა და ბიზნეს ოპერატორს შორის გაფორმებული მემორანდუმი, ხელშეკრულება, სადაც ის კონკრეტულად ეუბნება, რა უნარების კადრი სჭირდება. ასევე მოხდა ექსპერტის გასაუბრება ბიზნეს ოპერატორთან და იქ კითხვა არ დასმულა კონსულტაცია ურჩევნიათ თუ კადრის მომზადება, თორემ გაეცემოდა პასუხი. პროგრამის შემუშავების საფუძველია ბიზნესის ინტერესი. ერთად შეიმუშავეს ეს პროგრამა და არ დამჯდარან ცალკე და მერე არ უთქვამთ ბიზნესისთვის, მათთან ერთად განიხილეს, რაც დასტურდება დოკუმენტით. ხელშეკრულებაში ჩანს რა უნარების კადრი უნდათ მომზადდეს და მერე რომ წავა უკვე მომზადებული, საწარმოო პრაქტიკაზე.

ლანა გაჩეჩილაძემ თქვა, რომ ამას ადასტურებს ნამდვილად, თუმცა ეს არის ერთი კონკრეტული ორგანიზაცია რეგიონში, ამის გარდა საქართველოს მასშტაბით არის უამრავი ორგანიზაცია, რომელებსაც კოლეჯის წარმომადგენლები ზეპირსიტყვიერად იხსენიებენ, რომ მოთხოვნა არის დიდი, ამ ნაწილში არ ეთანხმებიან. იმაზე არ დაობენ, რო პარტნიორი ორგანიზაცია ამ მიმართულებით საქმიანობს და მას ერთი პირის დასაქმება შეუძლია.

ნათია კვიციანი დაეთანხმა ლანა გაჩეჩილაძეს და თქვა, რომ თუ ეს ასე მარტივი პროგრამაა, 11 კვირიანია და დაბალანაზღაურებადი. ისმის კითხვა, მართლაც საჭირო ეს კადრი, იმ ერთ ოპერატორს კი სჭირდება კადრი და დანარჩენ ოპერატორებსაც სჭირდებათ თუ იფიქრებენ იმაზე, რომ გადაამზადონ შიდა კადრი, რომელიც დაინატივებს ამ ფუნქციას, რახან საჭიროებაა და შესაბამისად, ან უფრო გაუზრდის ხელფასს ან უფრო სტაბილურ სამსახურს შეუქმნის, რაზედაც თამარმა უპასუხა, რომ პროგრამა ამას არ გამოორიცხავს, ეს იქნება კომპანიაში დასაქმებული თუ მათი მომზადებული.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მას განმარტორციელებლების კვალიფიკაციაში ეჭვი არ ეპარება, პირიქით, ის დარწმუნებულია, გაცილებით ძლიერი პროგრამის და გაცილებით ადაპტირებული პროგრამის განხორციელება და ჩამოყალიბება შეუძლიათ, იმიტომაც გააკეთა ასეთი მახვილები, ესაა დასაბუთების ასპექტი და დაშვების წინაპირობის შეცვლით გაცილებით უფრო სიცოხლისუნარიანი იქნება პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა, რომ ძალიან საინტერესო დისკუსიები იყო, მაგრამ საჭირო იყო დაუბრუნდნენ სამუშაო გარემოს ისევ და თქვა, რომ 2.4 ქვესტანდარტი, უსაფრთხო სწავლის გარემოზე, გამორიცხავენ, როგორც პირველ პროგრამაზე მიიღეს გადაწყვეტილება, გავრცელდება ანალოგია ამ შემთხვევაზე. საუბარია 1.4 ქვესტანდარტის დარღვევაზე, ერთი სტანდარტის დარღვევაზეა საუბარი, შესაბამისად კანონმდებლობა საშუალებას იძლევა გამოსწორების ვადა მიეცეს დაწესებულებას. აქ არ არის საუბარი რამე პროგრამის შეცვლაზე, აქ საუბარია დასაბუთება იყოს უფრო ძლიერი და ციფრები ჩანდეს და მეორეა დაშვების წინაპირობა. ამ საკითხზე არის შეუთანხმებლობა. სხვა თემა არ არის განხილვის საგანი. გიორგი გამყრელიძემ წამოსწია თემა, რომ ეს უფრო მეტ დატვირთვას მოითხოვს, თუმცა სათაურიდან გამომდინარე, შეიძლება სათაური დაკონკრეტდეს ამ შემთხვევაში რომ აქ აშკარად, როგორც ექსპერტის და დაწესებულების საუბრიდან ირკვევა, საუბარია რაღაც პატარა ნაწილის და არა მთლიანად, სურსათის უვნებლობაზე, კვების ტექნოლოგიაზე, ანუ კონკრეტული ცოდნის მიწოდებაზეა საუბარი, ამას ექსპერტიც სადაოდ არ ხდის.

გიორგი გამყრელიძემ თქვა, თუ ყველაფერი მარტივია და ყველაფერი აღრიცხვის დღიურთან არის დაკავშირებული, მაშინ რაღაში გვჭირდება. მარტივი არ არის, ამ დარგის კონკრეტული ნაწილია, უპასუხა მარიამ ქუჩულორიამ. მეოთხე დონე თუ არის, გააგრძელა გიორგი გამყრელიძემ, ეს სერიოზული დონეა და ადამიანს უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა. 18 წლის ადამიანი, როდესაც ამთავრებს სკოლას, მან ადმინისტრაციული საქმიანობაც არ იცის. სკოლადამთავრებულმა ადამიანმა დღიური რომ შეავსოს ისიც არ იცის. რაღაცა რომ გაშავდება ან გაყვითლდება, მიხვდება კი რა ქიმიური პროცესი წავიდა. როდესაც მომზადდება საუბარი, რაღაც უნდა იცოდეს. ასევე, როცა საუბარია სტანდარტის კითხვაზე, არ არის ასე მარტივი. თუ ასეთი მარტივია და მხოლოდ ჟურნალის აღრიცხვა ევალეება, მაშინ ასეთი კადრის დაქირავების სურვილი ალბათ ბევრს არ ექნება, ის ასე ფიქრობს. დაშვების წინაპირობა უნდა იყოს მნიშვნელოვანი და ჩამოყალიბება იმ საკითხების რაზეც უნდა გავიდეს პროგრამა. დარგის ექსპერტი დაეთანხმა და თქვა, რომ დაშვების წინაპირობა განაპირობებს საბოლოოდ სწავლის შედეგზე გასვლას.

სოფიო გოხელაშვილმა უპასუხა გიორგი გამყრელიძეს, რომ ბიზნეს ოპერატორს, რომელსაც ეს ბიზნესად აქვს მხოლოდ ქცეული, კადრი არ ჰყავს, ვინც ამ საკითხებს მოუგვარებს და ის რაღაცა რანდომული პრინციპით, ხან ვის დაავალებს ამის გაკეთებას და ხან ვის, ვერ უზრუნველყოფს რეალურად.

რანდომული პრინციპით ხან ვის, ხან ვის ვერ დაავალებს, თქვა დარგის ექსპერტმა, იმიტომ რომ აბსოლიტურად ყველა ბიზნეს ოპერატორს პასუხისმგებელი პირი უნდა ჰყავდეს განსაზღვრული კონკრეტულ წარმოებაში, ეს სურსათის სააგენტოს მოთხოვნაა. სახელმწიფო ამ

მიმართებით გარკვეულ პასუხს სთხოვს ბიზნეს ოპერატორებს. სწორედ ამაშია მისი შენიშვნის არსი, ერთი შენიშვნაა ფაქტიურად, თუკი იქნებოდა სწორად ორიენტირებული კვლევა ბიზნეს ოპერატორებთან, შესაბამისად იქნებოდა დაშვების წინაპირობაზე სწორი ორიენტაცია გაკეთებული.

ქრისტინე მეფარიშვილმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება რამდენიმე საკითხზე. პირველი, მას ესმის, რომ სურსათის ეროვნულ სააგენტოს აქვს დიდი პრობლემა, ქვეყანაში არის ნამდვილად მოთხოვნა და კომპანიების უმრავლესობა არღვევს ამ პრინციპს, რასაც სურსათის უვნებლობა ჰქვია, მაგრამ ეს ყველაფერი არ ჩანს ნამდვილად დასაბუთებაში, ამიტომ ეთანხმება ექსპეტებს, რომ დასაბუთებაში არის საჭირო რაღაცა ტიპის რიცხვების ჩაწერა, აქ შეიძლება არ იყოს მასშტაბური კვლევა, მაგრამ ყველა კომპანიას, ვისაც მიეცა პროგრამების განხორციელების უფლება, რაღაცა ტიპის რიცხვები მაინც იყო მოყვანილი. მათ შეუძლიათ მათსავე რაიონში გამოკითხონ 10-15 სხვადასხვა სურსათის კომპანია და ჩაწერონ ამ გამოკითხული კომპანიების შედეგები, ვთქვათ 7 -მა თქვა, რომ არ ჰყავს ასეთი კადრი და ისურვებდა, რომ ვინმე ჰყავდეს ამ მხრივ მომზადებული/გადამზადებული. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. სჯერათ, რომ არის მოთხოვნა, მაგრამ იმაზე, რომ სჯერათ, ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას, ეს არის პირველი პრობლემა. მეორე, გიორგის უნდა გამოეხმაუროს, სურსათის თემებზე, რამდენად რთულად არის საქმე. მან თქვა, რომ მისი მეგობრები აკეთებენ ახლა ჩაის პატარა საწარმოს და ისიც ეხმარება. ამიტომ გამოცდილება აქვს კერძო ბიზნესის მხრიდან. მათ გაიარეს სურსათის ეროვნულ სააგენტოში 50 ლარიანი კონსულტაცია. არ არის იმდენად რთული, აქ არის საუბარი პატარა საწარმოს, ცეხის მაგალითზე რომ ახსნას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩაის ქიმიურ შემოწმებას აკეთებენ ან ჩაის შეფუთვის შემოწმებას, მაგრამ იმ ეტაპზე გაერკვიენ, რომ, მაგალითად ის შეფუთვა, რაშიც უნდა ჩაიყაროს, იმას უნდა ჰქონდეს თავისი სერთიფიკატი ან რაღაც ლაბორატორიული დასკვნა, ამას ისინი არ აკეთებენ, მაგრამ საიდანაც მოაქვთ ეს შესაფუთი მასალა, იქ აიღეს ლაბორატორიული დასკვნა, რომ ნამდვილად საკვებთან უსაფრთხოა ეს შესაფუთი მასალა. ის როგორც ხვდება, ეს პროგრამა არის იმისთვის, რომ რაღაც ქიმიურ თუ ლაბორატორიულ შემოწმებას ეს ადამიანი არ უნდა აკეთებდეს, მაგრამ მან ამ მინიმალურ სტანდარტებში უნდა მოიყვანოს საწარმო. ეს არ არის ისეთი რთული, როგორც არის საუბარი, მაგრამ ნამდვილად ეთანხმება ბატონ გენადის, რომ არც ისეთი მარტივია, რომ 18 წლის ადამიანმა, რომელმაც სკოლა ახლა დაამთავრა, ეს შეძლოს, ამ ყველაფრის გარკვევა და მერე დანერგვა. მასაც მიაჩნია, რომ დაშვების წინაპირობა უნდა იყოს შეცვლილი. იყოს მაგალითად, ერთი ან ორ თვიანი სამუშაო გამოცდილება თუნდაც კვების საწარმოში ანდა ამ ადამიანს ჰქონდეს გარდა სკოლისა, რაიმე სხვა ტიპის განათლება მიღებული, შეიძლება ეს იყოს ბაკალავრიატი ან კოლეჯი.

ნიკოლოზ მესხიშვილმა პირველ რიგში მაღლობა გადაუხადა კოლეჯს, რადგან აქტუალური თემატიკაა, ამას მოწმობს დისკუსიაც. ის უფრო მეტ ჩართულობას ისურვებდა სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან და ამ პროგრამის უფრო სიღრმისეულ განხილვას. არის აზრთა სხვადასხვაობა და ყველას აზრი ძალიან დასაფასებელია, რადგან უნდათ უკეთესი შედეგი იყოს პროგრამის ხარისხთან. მას აქვს შემოთავაზება, იქედან გამომდინარე, რომ მათ შეუძლიათ მისცენ კოლეჯს დრო, რომ ამ პროგრამის შინაარსს კიდევ კარგად გადახედოს, გაანალიზოს, მეტად ჩაერთოს სურსათის უვნებლობის სააგენტო და გაიზიარონ აქ დამსწრე კომპეტენტური ადამიანების აზრი. არის გამოსასწორებელი ვადა იმისთვის და იმდენი, რომ საერთაშორისო პრაქტიკაც გაითვალისწინონ, თუნდაც სააგენტოს რეკომენდაცია, ან კერძო სექტორის გამოცდილება. ეს დისკუსია კარგია, მაგრამ შორს წაიყვანთ, რადგან მტკიცე პოზიცია აქვს ყველა მხარეს და ძალიან რთულია ალბათ კონსესუსი. ისიც ფიქრობს, რომ ვადა უნდა მიეცეთ.

გარკვეულად რომ მივუთითოთ რა გამოსწორდეს და რა დაემატოს, დაინტერესდა საბჭოს თავმჯდომარე, რომ წარმოდგენილი იყოს შემდეგში ისეთი პროგრამა, რომ დაკონკრეტდეს, რაც

დაკონკრეტებას საჭიროებს, თორემ არცერთი საბჭოს წევრი წინააღმდეგი არ არის ასეთ მოთხოვნადი პროგრამების.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა ორ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება. ერთი ის, რომ ბატონი გენადი, ცენტრის ექსპერტი სწორედ იმ ნიშნით არის, რომ ის წარმოადგენს სურსათის უვნებლობის სააგენტოს და მისი ექსპერტიზა მნიშვნელოვანია და მისი რეკომენდაციები ცენტრისთვის არის ფასეული, ისევე შენიშნა, რომ კოლეჯის წარმომადგენლები - განმახორციელებელი პირები, ქალბატონი სოფიო და ელენეც სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმოადგენენ. მეორე, მას უნდა თამთას ნათქვამზე მიაქცევინოს ყურადღება პროგრამის დონესთან დაკავშირებით. როდესაც შემოვიდა ეს პროგრამა, სახელწოდებაშიც ჩანდა, რომ ეს მესამე დონის მისალწევი შედეგები ვერ იქნებოდა. ამ პროგრამას ჰქვია კონტროლი საწარმოში და ამ კონტროლს მესამე დონის კვალიფიკაციის მქონე ადამიანი ვერ განახორციელებდა. ამიტომ, შედეგებსაც გადახედეს, სახელწოდებასაც გადახედეს, ჩახედეს კვალიფიკაციების დონეების აღმწერ დოკუმენტს, გაიარეს კონსულტაცია კვალიფიკაციების სამსახურთან და საბოლოოდ თქვეს, რომ ეს არის მეოთხე დონის პროგრამა. თუ მეოთხე დონის პროგრამაა მისი ფუნქცია და შესაძლებლობები იმ დასაქმების ადგილზე უნდა იყოს მეტი და იმ ასპექტში უნდა იყოს პროგრამა აგებული, თუ მათ მიცემენ მეტ ფუნქციებს, მეტ უფლებამოსილებას ბიზნეს სექტორში. და თუ მეტს მისცემენ, აქედან გამომდინარე, მას წინაპირობებიც მეტი უნდა ჰქონდეს ან ეს პროგრამა უნდა იყოს გრძელვადიანი და სწავლის შედეგები უფრო უკეთ უნდა იყოს განსაზღვრული. ეს არის მისი მოსაზრება, მან კომენტარი გააკეთა და რა თქმა უნდა საბჭო მიიღებს გადასაწყვეტილებას.

მარიკა ზაქარეიშვილმა დაადასტურა, რომ რა თქმა უნდა ემხრობა იმას, რომ დრო მიეცეს კოლეჯს გამოასწოროს, თუმცა კარგად უნდა დაზუსტდეს რეალურად მესამე თუ მეოთხე დონის სპეციალისტს ითხოვს ბაზარი და შესაბამისად კოლეჯი, ამაზე იქნება დამოკიდებული წინაპირობების განსაზღვრაც. ის არ მიემხრო წინაპირობის რაიმე წინარე სამუშაო გამოცდილების მითითების საკითხს, რადგან მაშინ არსებითად იცვლება პროგრამა, იცვლება პროგრამის სახე და ასევე ფუნქცია, კერძოდ თუკი პროგრამა იქმნება, რომ ამ მიმართულებით კადრის დეფიციტი შეავსოს, არსებული თანამშრომლების გადამზადება ამ მიზანს არ ემსახურება და თუ სამუშაო გამოცდილება სჭირდებათ, მაშინ ეს გადამზადებაა და არა მომზადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ გოხელაშვილმა ექსპერტს ჰკითხა, რას ურჩევდა, წინაპირობაში რომ ჩაწერონ, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ პირადად მისთვის მისაღები იქნებოდა სამუშაო გამოცდილება ან მიმდინარე ხელშეკრულება პროფილურ სფეროში, თუმცა ამ შემთხვევაში პროგრამა იქნება გადამზადების და არა მომზადება.

ნათია კვიციანის აზრით, ამ შემთხვევაში სასურველი იქნებოდა კოლეჯმა დააწესოს რაღაც წინასწარი ტესტები, რომლის მიხედვითაც ადამიანს თუ არ აქვს უნარი, რომ წაიკითხოს და გადმოსცეს ინფორმაცია და დაიმახსოვროს ინფორმაცია, ასეთი არ უნდა მიიღოს. ერთი საკითხია კიდევ. მუშაობა უფრო მეტი დამსაქმებელთან, ეს კურსი იყოს გადამზადების, იმიტომ რომ შეიძლება დამსაქმებელმა თქვა, არ უნდა დამატებითი კადრი და გადამზადებს მის ერთ ადამიანს და ფუნქციას გაუზრდის და ცოტა ხელფასს მოუმატებს, მაგრამ ამავე დროს შეიძლება თქვას, რომ ეს კი არა, ცოტა სიდრმისეული უფრო მაინტერესებს, ანუ, დამსაქმებლის მოსაზრება იქნება აქტუალური, ასევე, ნებისმიერი პროგრამა უნდა შედგეს დამსაქმებლის, არსებულ ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად. ბევრი დამსაქმებლის და არა ერთი და ორი, კოლეჯი უნდა ემსახურებოდეს დასაქმებას.

არ არის ამ რეგიონში ბევრი დამსაქმებელი, თქვა მარიკა ზაქარეიშვილმა. ის ასე ფიქრობს რომ მათი მომზადება/გადამზადების პროგრამებს რაც უფრო მეტი პროვაიდერი ეყოლებათ

დასაქმების კუთხით მით უფრო მეტია პროგრამის ღირებულებაც და დანიშნულებაც, მაგრამ როდესაც პატარ-პატარა რეგიონებზეა ლაპარაკი, ერთ კომპანიასაც რომ პოულობენ. ერთი კომპანია ერთ დასაქმებულს ნიშნავს და რაოდენობა ამ შემთხვევაში მართლაც ცოტაა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ გოხელაშვილმა დაამატა, რომ მათ უკვე 3ყავთ 7 კომპანია, ვინც სურვილი გამოთქვა, რომ ეს ადამიანები დაასაქმონ, შეუძლიათ ეს ინფორმაცია მოაწოდონ საბჭოს. ექსპერტმა უპასუხა, რომ იცის, რომ არის მათთან კომპანიების მოთხოვნა, დარწმუნებულია ამაში და სწორედ ამიტომ გააკეთა აქცენტი იმასთან მიმართებაში, რომ კვლევა გაცილებით უკეთესი იყოს და შესაბამისად, იმ კვლევიდან გამომდინარე წინაპირობაც სხვანაირი ექნებათ, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ წინაპირობაში ვერანაირად ვერ მიყვება, რაც შეეხება კომპანიებს, მათი რიცხვი დარწმუნებულია გაიზრდება და ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ არის.

გარკვეული შეუთანხმებლობაა ექსპერტსა და დაწესებულებას შორის და რაც შეუძლია ურჩიოს ესაა, რომ კარგი კომუნიკაცია ჰქონდეთ ერთმანეთთან და ცენტრთანაც, რომ შეჯერებული იყოს ერთმანეთთან პოზიციები, რომ შემდეგში მარტივად მიიღონ გადაწყვეტილება, თქვა საბჭოს თავმჯდომარემ.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ექსპერტების ვიზიტის დროს ყველა შეკითხვა დაისვა, და მათ დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ექსპერტებისგანაც მიიღეს პასუხი, რომ ყველა შეკითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი და შემდგომ დასკვნაში იხილეს აბსოლიტურად სხვა.

სიურპრიზები არ უნდა იყოს, თქვა საბჭოს თავმჯდომარემ, მან თხოვნით მიმართა, ექსპერტებს და ცენტრსაც, რომ სიურპრიზებს თავი რაც შეიძლება აარიდონ და მაქსიმალურად ჰქონდეთ ერთმანეთთან კომუნიკაცია. ლანა გაჩეჩილაძემ ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა, მან თქვა, რომ რა თქმა უნდა დასკვნა სანამ მომზადდება, არის ვიზიტი, ვიზიტამდე ეცნობიან მასალებს, ვიზიტის შემდეგ, შეიძლება ანალიზის საფუძველზე სხვა რეალობა მიიღონ, ვიდრე ვიზიტის ბოლო წუთებში აქვთ. თუმცა, მას კონსულტაცია ჰქონდა და გადიოდა საკითხს ბატონ გენადისთან და პარარელურ რეჟიმში კოლეჯის წარმომადგენელთან, ქალბატონ მარიამს ესაუბრებოდა, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა. ის ფიქრობს, რომ ახალი მათთვის არაფერია, რაზეც შესაძლოა ყოფილიყო საბოლოო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზად თუ რეკომენდაციად. სანამ დასკვნას მოამზადებდა კიდევ ჰქონდა რამდენიმე სატელეფონო საუბარი. დაწესებულებას 7 დღით ადრე საბჭომდე ეგზავნება დასკვნა გასაცნობად.

საუბარი არის ვიზიტის დროს, ვიზიტის შემდეგ არაჩვეულებრივი კომუნიკაცია გვექონდა აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, რაზედაც ლანა დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ აქვთ უფლება, რომ შემდეგ ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ ხარვეზი იქნება თუ რეკომენდაცია, თუმცა კოლეჯი ერთი კვირით ადრე ეცნობა დასკვნას და შესაბამისად, ამის მერეც არავინ არ უკრძალავთ, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში კომუნიკაცია ჰქონდეთ.

ლანა გაჩეჩილაძემ თქვა, რომ მას პირადად არც დაუმაღლავს არც ექსპერტისთვის და არც დაწესებულებისთვის, რომ დარგში კარგად გარკვეული არ არის და ორივე მხარეს მიერ დაფიქსირებული პოზიციებს გარკვეულწილად იზიარებდა. პირადად, მომხრეა რომ არსებობდეს მეტი მომზადების და გადამზადების მრავალფეროვანი პროგრამები, ამდენად, ვიზიტის შემდგომ კიდევ ერთხელ დარგთან გაიარა პრობლემური საკითხები და დარგის მიერ დაფიქსირებული პოზიციით დაუბრუნდა კოლეჯს, ქალბატონ მარიამ აბელიანს ესაუბრა და უთხრა, ნარატივის სახით მათი არგუმენტები წერილობით წარმოედგინათ, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა ხარვეზი არ დაფიქსირებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ კოლეჯს აქვს ერთი თვის ვადა გამოსასწორებლად და ამ ერთი თვის განმავლობაში მაქსიმალურად ისე გააკეთონ, რომ დღეს თუ საბჭომ დაუთმო ორი საათი ამ საკითხის განხილვას, შემდეგ სხდომაზე სწრაფად შეძლოს გადაწყვეტილების მიღება.

ასევე, იქნებ დასწიოთ დონე და კონტროლი აღარ ეწეროს, რაღაც სხვა ეწეროს, რომ შესაბამისობაში იყოს საფეხურთან, თქვა ნათია კვიციანი.

შედეგები თუ შეიცვლება, პროგრამა იცვლება, თქვა გიორგი გამყრელიძე. პროგრამა არ იცვლება, ექსპერტიც არ აყენებს ამის საჭიროებას, უბრალოდ ფორმულირება უნდა შეცვალონ სწავლის შედეგის, თქვა მარიკა ზაქარეიშვილი, მათ თავიდანვე მესამე დონე ჰქონდათ განსაზღვრული, ხარისხის ცენტრმა თქვა, რადგან კონტროლია მეოთხე დონე უნდა იყოს.

შედეგთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა სოფიო გოხელაშვილი, მან თქვა რომ ეს არის საწარმოში ჰიგიენისა და წარმოების პროცესის კონტროლი, აქ იგულისხმება ის დანადგარი მუშაობს თუ არა, ხორციელდება თუ არა სადებიზფექციო სამუშაოები, ამისი კონტროლია. ტემპერატურული რეჟიმი დაცულია თუ არა და ა.შ.

ლანა გაჩეჩილაძემ, როგორც ცენტრის წარმომადგენელმა დააფიქსირა პოზიცია, ის შინაარსობრივ მხარეს არ ეხება, დარგის ექსპერტი ამბობს, დაშვების წინაპირობაში უნდა იყოს აქცენტი სამუშაო გამოცდილებაზე, მიმდინარე სამუშაო პროცესში ჩართვაზე, ამაზე ისაუბრა უკვე ქალბატონმა მარიკამ რომ გამოდის გადამზადების პროგრამა, პროგრამის სახის ცვლილებაზე თუ იქნება საუბარი, არ უნდა იყოს მერე უცხო დაწესებულებისთვის, რომ პირდაპირ უარი ეთქმება, იმიტომ რომ პროგრამის ძირეულ ცვლილებაზე იქნება საქმე.

საკმაოდ საინტერესო და დიდი დისკუსია იყო, თქვა საბჭოს თავმჯდომარემ, მან მადლობა გადაუხადა ყველას და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში“ /01101/ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ერთთვიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 1(გიორგი გამყრელიძე)

გადაწყვეტილება:

მიეცეს დაწესებულებას ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი ლეპოტასთვის – „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“/01099/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს თხოვნით მიმართა, ყურადღება გაემახვილებინა მხოლოდ მთავარ საკვანძო საკითხებზე.

საბჭოზე დასკვნის პრეზენტაცია წარადგინა მაია აბდალაძემ. მან თქვა, რომ შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრმა ლეპოტამ წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამა „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით. საქმისწარმოებაში მასთან ერთად იყო მოწვეული დარგის ექსპერტი, ქალბატონი ნანა ჭითანავა. რაც შეეხება პროგრამას ეს არის მომზადების პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა 9 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 20 და პროგრამის განხორციელების ადგილია ქ.თბილისი, თინა იოსებიძის ქ. N57.

ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, ა/წ 24 ივნისს, ვიზიტის მიზანი იყო პროგრამის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება ცენტრის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, განამხორციელებელ პირებთან, ასევე გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსის პირადი საქმე, დისტანციურ რეჟიმში მოხდა მატერიალური და სასწავლო რესურსის დათვალიერება, შემოწმდა შენობის მდგრადობის და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

რაც შეეხება ხარვეზს, დასკვნაში გაიპარა შეცდომა, წერია რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა, თუმცა იქვე, დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ 2.4 ქვესტანდარტი არის შეფასებული, როგორც ქვესტანდარტის დარღვევა. კემოდ, 2.4 ქვესტანდარტთან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა არ იყო წარმოდგენილი. ამიტომ ვერ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სამუშაო გარემოში. თუმცა დისტანციური ვიზიტის დროს ნახეს ხელშეკრულება, დადებული სახანძროსთან და მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც გაწერილი იყო შესასრულებელი ღონისძიებები, 10 პუნქტი და ვიზიტის დროს დაწესებულებას უკვე შესრულებული ჰქონდათ ყველა პუნქტი და ელოდებოდნენ სახანძროდან შემოწმებას და შემდეგ დასკვნას. რამდენიმე დღის წინ, კემოდ 12 ივლისს, დაწესებულებამ უკვე გადმოგზავნა საბჭოსთვის გასაცნობად დადებითი დასკვნა.

რეკომენდაციები დარგის ექსპერტის მიერ არ გაცემულა, სტანდარტები შესაბამისობაშია, მხოლოდ ეს ერთი ხარვეზი იყო დაფიქსირებული.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისათვის ჰყავს 4 შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმხორციელებელი პირი, რომელთაც უდასტურდებათ შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება.

ცენტრი აღნიშნული პროგრამის განხორციელებას გეგმავს საკუთარ ფართში. პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი სასწავლო აუდიტორია, A გარემო, ცალკე სამასაჟე ოთახი და C გარემო, კოსმეტოლოგიური კაბინეტი. სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით, სკამებით, განმხორციელებლისათვის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, სადემონსტრაციო საშუალებებით, ორი კომპიუტერით, პრინტერით. სასწავლო გარემო იძლევა საშუალებას ერთდროულად 20 მსმენელის მიღებისა, მაგრამ მათ თქვეს, რომ შეიძლება 2 ჯგუფი 2 ცვლაში გააკეთონ. ადგილზე C გარემოში განხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობები. სულ წლის განმავლობაში მიიღებენ 20 მსმენელს. დაწესებულებაში სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში დაწესებულებაში სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომი იქნება ბეჭდური და ელექტრონული ფორმით და ხელმისაწვდომი იქნება მსმენელებისათვის.

ექსპერტები იცნობენ დასკვნას, 2.4 გამოსწორებულია თქვა საბჭოს თავმჯდომარემ. წარმოდგენილი დოკუმენტი მათაც მიიღეს მეილით და ითხოვა ფოტოების ჩვენება საბჭოსთვის.

მაია აბდალაძემ ფოტო მასალა წარუდგინა საბჭოს, A გარემო თავისი მატერიალური რესურსით, სადაც მსმენელებს ჩაუტარდებათ თეორიული მეცადინეობები, C გარემო, კოსმეტოლოგიის კაბინეტი და სამასაჟე ოთახი და ასევე სახანძროს კუთხე.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს ჰკითხა, ხომ არ დაამატებდა რამეს, რაზედაც ნანა ჭითანავამ უპასუხა, რომ განიხილა პროგრამა და ყველაფერი წესრიგშია, მას არანაირი ხარვეზი და რეკომენდაცია არ აქვს, სტანდარტები დაცულია, არის საკმაოდ საინტერესო პროგრამა და საკმაოდ ფართო კუთხით აქვთ ყველა პუნქტი გაწერილი.

მარიკა ზაქარეიშვილის კითხვა ეხებოდა თუ იყო პრაქტიკისთვის საკმარისი აღჭურვილობა ერთდროულად 10 მსმენელისათვის, რაზედაც ექსპერტმა განაცხადა, რომ გაყოფილი აქვთ თემების მიხედვით და თვითონ განმახორციელებლები, ვინც ასწავლის, ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები არიან და მაგ მხრივ ხელშეწყობა არის და ინვენტარიც საკმარისია, რომ რამოდენიმე ადამიანმა ერთად პრაქტიკა გაიაროს, სივრცეც არის, თანაც პრაქტიკულ ნაწილს მუშაობის და სწავლის დროს გაანაწილებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულებას, რადგან არ არის სასწავლო დაწესებულება, რამდენად არიან მზად და რამდენად აქვთ განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილება და როგორი ხედვა აქვთ სამომავლოდ.

ია გიგიბერიაძე, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მენეჯერმა თქვა, რომ 2021 წელს შეიქმნა ბიზნეს ცენტრი, რომელიც ორ მიმართულებას ემსახურება. თერაპიული და კოსმეტოლოგიური. ცენტრს ხელმძღვანელობს ქალბატონი ლელა ყურაშვილი, რომელიც როგორც დარგის სპეციალისტი წარუძღვება ამ სასწავლო პროგრამას. მას აქვს დიდი გამოცდილება სწავლების მიმართულებით, რაც დასტურდება გადმოგზავნილი დამადასტურებელი დოკუმენტაციით. ასევე ვინც ჰყავთ აყვანილი განმახორციელებელი პირები, ყველანი არიან ექიმ კოსმეტოლოგები.

შემდეგ ლელა ყურაშვილი ისაუბრა. მან თქვა, რომ არის დერმატო იმუნოლოგი, 24 წლიანი სტჟით. ესთეტიკურ მედიცინაში ჩაერთო 2005 წლიდან და მუშაობს როგორც დერმატოლოგად, ასევე ჩართულია ესთეტიკურ კოსმეტოლოგიაშიც. პარარელულად მუშაობს კლინიკა „ქალი და ჯანმრთელობა“, ასევე ატრენინგებს კოსმეტოლოგებს. ასე რომ სწავლების გამოცდილება აქვს. ამ პროგრამის შექმნის იდეა დაიბადა, რომ ესწავლებინათ და გაეზარდათ სპეციალისტები ამ კუთხით, რომელზედაც დიდი მოთხოვნაა.

ქრისტი მეფარიშვილს აინტერესებდა, რამდენად იყო საკმარისი ორი სავარძელი პრაქტიკულ გარემოში 10 ადამიანის ერთდროულად მეცადინეობისთვის და რამდენი ასწავლის, პასუხად, ია გიგიბერიაძე დაათვალიერებინა მათი გარემო და თქვა, რომ ერთ ჯგუფში ეყოლება 10 მსმენელი, მან აჩვენა გარემო, დიდი ოთახი, სადაც 5-5 სტუდენტი განთავსდება ორ სავარძელთან. გარდა ამისა, მათ კიდევ აქვთ მესამე საწოლი, ცალკე ოთახში განთავსებული. ამიტომ თავისუფლად შეძლებენ ყველა სტანდარტის დაცვით 10 სტუდენტის განთავსებას ამ გარემოში და სწავლებას. სულ სამი სავარძელი აქვთ და 4 პროგრამის განმახორციელებელი.

ლანა გაჩეჩილაძემ თქვა, რომ თვითონაც ესწრებოდა ვიზიტს, და როგორც მათ თქვეს, საათებით გადაანაწილებდნენ, თუ დიკომფორტი იქნაო, რაზედაც ქალბატონმა იამ უპასუხა, რომ მათ ჯერ აინტერესებთ, კვლევა უნდათ რომ ჩაატარონ, ვისაც დარეგისტრირება მოუხდება და სწავლება,

რა დროს უნდათ სწავლება, დღის დასაწყისში თუ მოგვიანებით, თითონ მსმენელები აირჩევენ და ამისდა მიხედვით მათ შეუძლიათ მოუწიოს 2 ან 3 აიყვანონ და დღის განმავლობაში მათ გრაფიკს მოერგონ, რადგან ცენტრი მუშაობს დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ნათია კვიციანი მიესალმა ქალბატონ ლელა ყურაშვილს და თქვა, რომ პირადად არ იცნობდა, მაგრამ მასზე ძალიან ბევრი კარგი გაუგია მეგობრების და კოლეგებიდან, ასე რომ არანაირი ეჭვი არ აქვს მის კომპეტენტურობასა და მაღალ კვალიფიკაციაში და სასიამოვნოა, რომ ჩართულია პროგრამაში. მას კითხვა ჰქონდა შერჩევასთან დაკავშირებით, ესთეტიკური კოსმეტოლოგიისთვის საკმარისი თუ იქნებოდა საბაზო განათლება, რომ 9 კვირაში შეისწავლოს ყველაფერი რაც საჭიროა და ასევე აინტერესებდა მესამე საწოლი ცალკე ოთახში, მასაჟსაც ასწავლიან თუ ეს საწოლიც გამოყენებული იქნებოდა კოსმეტიკის სწავლებისათვის.

შერჩევასთან დაკავშირებით ია გიგიბერიამ უპასუხა, რომ საბაზო განათლება არის კოსმეტოლოგიის სტანდარტში, რითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ, სწორედ ეს იყო ამომავალი და მათი წინაპირობის მიზეზი რითაც შემოიფარგლენ. ყველა თემა, ყველა საკითხი, რომელიც თემატურად არის გაშლილი სწავლის შედეგების მიხედვით, არის თითქმის ყველაზე პრეზენტაცია მომზადებული, მათ არაერთხელ აქვთ გადახედილი თუ რამდენი საათი იყო საჭირო თეორიაზე და პრაქტიკაზე რამდენი საათი იქნებოდა და ზუსტად აქვთ გაკეთებული. მათ ბევრჯერ დათვალეს საათები, მაგრამ ფიქრობენ, პრაქტიკაში შეიძლება კიდევ მოხდეს გასწორება, თუმცა ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე სწორად განსაზღვრეს. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, რომელიც მისაღწევია, ქალბატონ ლელამ განსაზღვრა სხვა განმახორციელებლებთან ერთად, მათ მიერაა პროგრამა შედგენილი.

ლელა ყურაშვილმა თქვა, რომ გასაუბრება ჩატარდება ყოველ დარეგისტრირებულ პირთან, იმიტომ რომ შეიძლება მისი სურვილი სწავლის და სამომავლო მიზანი არ ემთხვეოდეს, ესეც გასათვალისწინებელია. ამ სფეროში მათ უნდა იცოდნენ თავიანთი კომპეტენციის რაღაცა ზღვარი, ეს დემარკაციის ხაზი, რომ იმას არ გადააბიჯონ. რა შემთხვევის მერე უკვე ექიმს უნდა მიმართონ. იმიტომ, რომ დასამალი არაა, ყველას თეთრი ხალათის მორგება და უცებ ექიმობა წარმოუდგენიათ. სამწუხაროდ, ეს რეალობაა საქართველოში. ამიტომ ის ძირითადი საკითხები, რაც მათ სჭირდებათ: კაბინეტის მოწყობა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ნარჩენების უტილიზაცია, რაც მნიშვნელოვანია, რადგან ჩვეულებრივ ბუნკერში ამის გადაყრა არ შეიძლება, პროფესიული ეთიკა, იმიჯი, რომ შეინარჩუნონ სახე, სტერილიზაცია, დეზინფექცია, უსაფრთხოების მიზნით. ასევე, ინვაზიური კოსმეტოლოგიური პროცედურების შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნები უნდა იცოდნენ. 9 კლასის მერე, გასაუბრება და 9 კვირაა ხანგრძლივობაა, ამიტომ პროგრამა დატვირთეს, მათ ანატომიის საკითხებიც ჩადეს, რადგან ანატომიის ცოდნაც სჭირდებათ და პრაქტიკაც იქნება საკმაოდ დატვირთული და ინტენსიური. ყოველი ნასწავლი თემის მერე იქნება აუცილებლად შემოწმება. ისინი პასუხს აგებენ მათი კურსდამტავრებულის კვალიფიკაციაზე და შემდგომაც გააგრძელებენ მათთან ურთიერთობას.

ნათია კვიციანს აინტერესებდა, 9 კვირის შემდეგ მათ ეწოდებოდათ კოსმეტოლოგი, რაზედაც ლელა ყურაშვილმა უპასუხა, რომ სახის კლასიკური მოვლა, სახის მასაჟი, აპარატული კოსმეტოლოგია, არაინვაზიური და არა აგრესიული.

როგორ მოხდება იმის კონტროლი, რომ არაინვაზიური პროცედურა არ ჩაატაროს ამ ადამიანმა, როცა დაჯდება კაბინეტში, რა მექანიზმია დაინტერესდა ნათია კვიციანი. - ამაზე საკანონმდებლო სასჯელი იქნება და ამიტომ ასწავლიან შესაბამის საკანონმდებლო ნორმებს და ეთიკას, უპასუხა ლელა ყურაშვილმა. ისინი ასევე რეგულაციებსაც ელოდებიან, რომ არ მოხდეს ყველა კუთხეში ინექციების კეთება, რადგან სერიოზული გართულებებია, დაბრმავების შემთხვევებიც არის. მთავარი ის არის, როცა მუშაობ, შეიძლება გართულება მოუვიდეს ექიმს, ის

გართულება უნდა ამოიყვანოს და ამიტომაც რომ მათ ზღვარი იცოდნენ და არ გადააბიჯონ. რისკებია ძალიან. ასევე მათ უნდა შეაყვარონ ეს პროფესია, და თავისი კომპეტენციის ფარგლებში იმუშაონ.

ნიკოლოზ მესხიშვილმა თქვა, რომ კარგი და მისასალმებელია ასეთი გამოცდილება რადგან აქვს ამ ცენტრს. მას აინტერესებს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში რომ წერია მუდმივად დაგეგმვის, განხორციელების შემოწმება და განვითარების ციკლი, რომ ითვალისწინებს პროგრამა, გარკვეული კითხვარები ხომ არ აქვთ, რომ ეტაპობრივად განავითარონ ან რამდენად ეცნობიან მსგავსი ტიპის უცხოურ მოკლევადიან პროგრამებს, რომ თანხვედრაში მოიყვანონ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს პროგრამა, რამდენად აქვთ ამ კუთხით რამე მოძიებული კლინიკას უცხოურ კლინიკასთან, რომ დაინახონ ამ პროგრამის მუდმივი განვითარება.

ია გიგიბერიამ თქვა, რომ ამ ეტაპზე აქვს შექმნილი კითხვარები, მსმენელისთვის, კურსდამთავრებულისთვის და თვითონ მასწავლებლებისთვის. პროგრამა რამდენად სრულყოფილად არის შედგენილი, სასწავლო გარემო რამდენად აკმაყოფილებს და ასევე აღჭურვილობა და ინვენტარი. ახლა სხვა აღჭურვილობა აქვთ, მაგრამ ცოტა ხანში შეიძლება შემოვიდეს სიახლე და ცენტრი იქეთკენ არის მიმართული, რომ ყველა ვინც არის მასწავლებელი, არიან წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც ნერგავენ, ატრენინგებენ არამარტო ახალგაზრდებს, არამედ ზრდასრულ კოსმეტოლოგებსაც სიახლეების და მიხედვით. სანამ ამ პროგრამას შექმნიდნენ, ანალიზის დოკუმენტის კეთების დროს, ჰქონდათ ურთიერთობა სლოვაკეთთან, პოლონეთთან, არგენტინასთან, სხვადასხვა წარმომადგენლებთან, რომლებსაც ქალბატონი ლელა პირადად იცნობს, პირადი კონტაქტებიც არის- ნინო კასრაძე, მისი კოლეგაა, დერმატოლოგი და კოსმეტიკურ ცენტრში მუშაობს ბუენეს აირესში და მასთან აქვს პირადი კონტაქტები და გაცვლა-გამოცვლა იდეების და პრაქტიკის. მათ ჩინური მასაჟი აქვთ, რაც არის პოპულარული და ამ წუთას ასეთი პროგრამა სხვაგან არ არის, თქვა ია გიგიბერიამ, ასევე მამაკაცის სახის მოვლის თავისებურებები, რაც მარტო მათ ცენტრშია, მათ ლოგოზე არ არის მარტო ქალი. ის ამყობს თავისი ლოგოთი, რომელზეც მამაკაციცაა და ქალიც გამოსახული და რაც მთავარია და უხარიათ, ერთ-ერთი მსმენელი ეყოლებათ მამაკაცი, რომელიც აპირებს მათთან სწავლას. ეს არის კიდევ რაღაც სიახლე ამ სფეროში. მათ უნდათ იყონ განვითარებადი და თანამედროვეობას ფეხდაფეხ მიმყოფი.

ნიკოლოზ მესხიშვილმა დაამატა, რომ ზუსტად ამაზე უნდოდა ხაზგასმა, რადგან მათ ახსენეს კავშირები, რადგან პარტნიორობა აქვთ სხვადასხვა ქვეყანასთან, მარკეტინგული კუთხით, მომავალში კარგი იქნებოდა ერთობლივი კურსი გაკეთდეს ან საერთაშორისო პარტნიორები რომ შემოიყვანონ პროგრამის განხორციელების ნაწილში რაღაცნაირად, კარგი იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ნიკოლოზ მესხიშვილს და თქვა, რომ მათაც უფიქრიათ, უნდათ და ალბათ გააკეთებენ, რომ ჩართონ/მოიწვიონ პროგრამაში, როცა არის ასეთი კონტაქტები, რათა ევროპულ სტანდარტთან რომ იყოს ყველანაირად მისადაგებული და მათ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ არა მარტო საქართველოში, არამედ გავიდნენ საზღვრებს გარეთ და იმუშაონ, წარმოაჩინონ მათი ცენტრი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი ლეპოტასთვის – „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /01099/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრ ლეპოტას მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა – ესთეტიკური კოსმეტოლოგია /01099/ (დანართი2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 15 ივლისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 14:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

